საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW –
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
FACULTY OF SOCIAL AND POLITICAL SCIENCES

№ 12/30-09 „22“ 12 2016 წ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის

დეკანის ბრძანება N12/2016

სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2016-2017 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში შიდა მობილობის წესით სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე ვაკანტური ადგილების გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი მე-2 და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 56-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების, 57-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N135/ნ ბრძანებით ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე -14 მუხლის პირველი პუნქტის, მე-8 პუნქტის „ა“, „ბ“, „ო“, და „პ“ ქვეპუნქტების, მე-9 პუნქტის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 25 ივლისის N77/2011 დადგენილებით დამტკიცებული „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-7 მუხლისა და რექტორის #81/01-01; 2015-06-03 ბრძანების საფუძველზე

ვბრძანებ

1.სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე შიდა მობილობის წესით სტუდენტთა გადმოსვლისთვის, გამოცხადდეს ვაკანტური ადგილები შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამებზე:

ილია ჭავჭავაძის გამზ. 8, 0179 თბილისი, საქართველო
8, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.social.tsu.ge
ტელეფონი: +(995 32) 229 05 94 Tel.
ფაქსი: +(995 32) 229 05 94 Fax.
ელ-ფოსტა: social@tsu.ge; E-mail

ა) საბაკალავრო პროგრამები:

1. პოლიტიკის მეცნიერება – 20 ადგილი;
2. ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია (ქართულ-რუსულენოვანი) – 5 ადგილი
3. საზოგადოებრივი გეოგრაფია – 30 ადგილი;
4. სოციოლოგია – 3 ადგილი;
5. სოციალური მუშაობა – 3 ადგილი;

ბ) სამაგისტრო პროგრამები:

1. პოლიტიკის მეცნიერება – 3 ადგილი;
2. სახელმწიფო მართვა და საჯარო პოლიტიკა – 3 ადგილი;
3. მასობრივი კომუნიკაციისა და მედიის კვლევები – 1 ადგილი;
4. ევრაზიის და კავკასიის კვლევები (ინგლისურენოვანი) – 3 აგილი;
5. საზოგადოებრივი გეოგრაფია – 2 ადგილი;
6. დემოგრაფია და მოსახლეობის გეოგრაფია – 2 ადგილი;
7. სოციოლოგია – 2 ადგილი;
8. სოციალური მუშაობა – 2 ადგილი;
9. ევროპული ინტეგრაცია და შრომითი ურთიერთობები – 2 ადგილი;
10. გენდერის კვლევა – 2 ადგილი;

2. ბრძანების ფაკულტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე, ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსების და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის გადაცემის უზრუნველყოფა დაევალოს ფაკულტეტის კანცელარიას.

3. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა

ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი თამარ დოლბაია